ხელშეკრულება N120
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
(წარმომადგენლობითი ხარჯები)

18 ოქტომბერი 2016 წელი
ქ. თბილისი

ჩვენ, ერთის მხრივ, **სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტო** (შემდგომში - ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორის **ანა კვარაცხელიას** სახით (**მის:** ქ. თბილისი, მარჯანიშვილის №5/16-18; **ტელ:** 2960010; **ს/კ:** 204582763; **საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა 200122900),
მეორეს მხრივ **შპს „რესტორანი ძველი მეტეხი"** (შემდგომში - ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის **ნუგზარ მაჭარაშვილის** სახით (**მის:** ქ.თბილისი, მეტეხის აღმართი№; **ს/კ:** 206274306; **საბანკო რეკვიზიტები:** სს „თიბისი ბანკი", კოდი: TBCBGE22 ა/ა GE91TB1123336020100001),

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე მეწარმეობის განვითარების სააგენტოს, მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის (ო/კოდი 24010302) 2015 წლის დაფინანსების ფარგლებში, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ექსპორტის განვითარების პროგრამის ფარგლებში 2016 წლის 19-23 ოქტომბერს, თბილისის მოდისკვირეულზე მოწვეული სამკერვალო ინდუსტრიისა და მოდის ინდუსტრიის ექსპორტიორი კომპანიების წამყვანი სპეციალისტების და წარმომადგენლებისათვის, საქმიანი ვახშამის გამართვის მომოსახურების შესყიდვა (CPV55520000).
1.2. მომსახურების მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, რესტორანი „ძველი მეტეხი"
1.3. მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2016 წლის 19 ოქტომბერს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში დღგ-ს ჩათვლით და შეადგენს არაუმეტეს **2490,40 (ორი ათას ოთხას ოთხმოცდაათი ლარი და 40 თეთრი)** ლარს.
2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს შესყიდვასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.
2.3. შემსყიდველის მხრიდან ანაზღაურება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

3. მიღება-ჩაბარების წესი, ანგარიშსწორების ფორმა და ვადები, ინსპექტირება

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტობრივად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად, ინვოისის, უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის და წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე (არსებობის შემთხვევაში), მისი გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
3.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ექსპორტის განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მარიამ თურნავას, რომელიც არ იმყოფება "მიმწოდებელთან" ინტერესთა კონფლიქტში.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე არაუგვიანეს 2016 წლის 20 ნოემბრისა.

5. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"
სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტო
დირექტორი

ანა კვარაცხელია

"მიმწოდებელი"
შპს „რესტორანი ძველი მეტეხი"
დირექტორი

ნუგზარ მაჭარაშვილი